HUMAN RIGHTS EDUCATION FOR LEGAL PROFESSIONALS

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ონლაინ კურსი იურიდიული და სამედიცინო პროფესიების წარმომადგენლებისთვის ბიომედიცინის სფეროში ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპების შესახებ

წინაისტორია და მიზნები

ბიოლოგიისა და მედიცინის წინსვლას, ახალი ტექნოლოგიების განვითარების ჩათვლით, შთამბეჭდავი მიღწევები ახლავს ჯანდაცვის სფეროში. თუმცა, ეს პროგრესი ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ეთიკურ საკითხებსაც წამოჭრის.

ეთიკური და სამართლებრივი პრობლემები ხშირად წამოიჭრება სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა, მაგალითად, თანხმობა სამედიცინო ჩარევაზე, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემებზე წვდომის უფლება, ხელოვნური განაყოფიერება, ქსოვილებისა თუ ორგანოების აღება და გადანერგვა და სხვა.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა პროგრესის ამ გამოწვევებს სხვადასხვა გზით პასუხობს:

- კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (ოვიედოს კონვენცია) მიღებულია 1997 წელს. მისი დებულებები შემდგომ დაიხვეწა და შეივსო დამატებითი პროტოკოლების სახით, რომლებიც კონკრეტულ საკითხებს ეძღვნება.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სულ უფრო ხშირად განიხილავს ამ საკითხებთან დაკავშირებულ შემთხვევებს ოვიედოს კონვენციაზე დაყრდნობით.
- არსებობს ასევე ბიოეთიკის კომიტეტისა (DH-BIO) და ევროპის საბჭოს სხვა კომიტეტებისა და ორგანოების მიერ დამტკიცებული, სამართლებრივად არასავალდებულო ინსტრუმენტების მრავალფეროვანი ნაკრები, რომელიც ამ სფეროში მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე.

კურსის მიზანია ამ საკითხების მოგვარება და შესაბამისი დოკუმენტებისა და ინსტრუმენტების მარტივად გაცნობა იურიდიული და ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისთვის. ის ითვალისწინებს ამ სფეროში მომუშავე ადამიანების უკიდურესად დატვირთულ სამუშაო გრაფიკსაც. კურსის კონკრეტული მიზანია, დაეხმაროს როგორც პროფესიონალ იურისტებს, ასევე ჯანდაცვის სფეროს თანამშრომლებს, გაეცნონ ადამიანის უფლებათა საკვანძო პრინციპებს ბიომედიცინის სფეროში.

თემები წარმოჩენილია პრაქტიკული სახით, ვიდეოების, ინტერაქტიური სლაიდების, კონკრეტული შემთხვევების განხილვის, ცოდნის შესამოწმებელი ტესტებისა და მსჯელობის სავარჯიშოების გამოყენებით.

კურსი მოიცავს ლექსიკონს საკვანძო ცნებებისა და კონცეფციების განმარტებებით, რომელთა ცოდნაც აუცილებელია კურსის გასავლელად. ლექსიკონის გამოყენება შესაძლებელია კურსის მიმდინარეობის ნებისმიერ მომენტში.

The course was developed in 2018

სამიზნე აუდიტორია

ამ კურსის ძირითადი სამიზნე აუდიტორია ორი კატეგორიისაგან შედგება:

- ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები
- იურიდიული პროფესიების წარმომადგენლები

კურსის მასალის გამოყენება შესაძლებელია მომხმარებელთა სხვა კატეგორიისთვის გამიზნული ტრენინგებისთვისაც: იურიდიული და მედიცინის ფაკულტეტების სტუდენტებისთვის, ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე ეროვნული ინსტიტუციების პერსონალისა თუ ბიომედიცინის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებისადმი სპეციფიკური ინტერესის მქონე სხვა ჯგუფებისთვის.

კურსის აღწერა (8 მოდული)

1. **შესავალი** (განმარტებები, საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, პრინციპები)
2. **თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა** (განმარტება, უარის თქმა ან თანხმობის გაუქმება, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის შეზღუდვის ელემენტები)
3. **სამედიცინო კონფიდენციალობა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვა** (ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების განმარტება, სამართლებრივი ჩარჩო, პაციენტის თანხმობა, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების კონფიდენციალობის უფლების შეზღუდვა, ჯანდაცვის სფეროს მუშაკთა მიერ მონაცემთა დამუშავება, პაციენტის უფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებით)
4. **ემბრიონის დაცვა და განაყოფიერება** (ძირითადი შეხედულებები ემბრიონის სტატუსის თაობაზე, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები, რეპროდუქციული კლონირებისა და პრენატალური დიაგნოსტირების აკრძალვა)
5. **სიცოცხლის დასასრული** (შესავალი, სამართლებრივი ჩარჩო, გადაწყვეტილების მიღება სიცოცხლის დასრულებასთან დაკავშირებულ სიტუაციებში, მკურნალობაზე თანხმობის გაუქმება, ხელოვნური ჰიდრატაცია ან კვება, წინასწარ გაცხადებული ნება, პალიატიური ზრუნვა)
6. **გენეტიკური ტესტირება** (შესავალი, გენეტიკური ტესტების ტიპები, შეზღუდვები, პრინციპები და წესები, გენეტიკური ტესტირება და პირადი მონაცემები, იმ ადამიანების დაცვა, რომლებსაც არ შეუძლიათ თანხმობის გამოხატვა, პირდაპირ მომხმარებლისთვის შეთავაზებული გენეტიკური ტესტირება, გენეტიკური მონაცემები და სადაზღვევო მიზნები)
7. **ბიოსამედიცინო კვლევა** (განმარტება, სამართლებრივი და ეთიკური პრინციპები, სამართლებრივი ჩარჩო, ინფორმირება და თანხმობა, უსაფრთხოება: სამედიცინო დახმარება და უახლესი მიღწევები, ინფორმაცია და კონფიდენციალობა)
8. **ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების ტრანსპლანტაცია** (განმარტებები, ეთიკური და სამართლებრივი საკითხები, სამართლებრივი ჩარჩო, ზოგადი პრინციპები, ორგანოებისა და ქსოვილების აღება ცოცხალი ადამიანისგან, ორგანოებისა და ქსოვილების აღება გარდაცვლილისგან).

კურსის შემუშავება და განხორციელება

ეს კურსი შემუშავებულია ადამიანის უფლებათა საკითხებზე იურისტების განათლების ევროპული პროგრამისა (HELP) და ევროპის საბჭოს ბიოეთიკის სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით. იმისთვის, რომ გაეცნოთ კურსს თქვენს ენაზე, ეწვიეთ ჩვენს ელექტრონული სწავლების პლატფორმას.

ონლაინ კურსზე წვდომა

კურსის ორიგინალური, ინგლისურენოვანი ვერსია ყველასათვის ხელმისაწვდომია HELP-ის ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე: http://help.elearning.ext.coe.int/. ამისთვის დაგჭირდებათ რეგისტრაცია, რაც სულ 2 წუთს წაგართმევთ.